განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 12.04.2022 - 27.04.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 16.06.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავროსამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №246, 17.12.2019

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავა - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიასამიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ბიოლოგია“ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №246, 17.12.2019 მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №309706) წარმოდგენილ იქნა „ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N380994, 12/04/2022) საფუძველზე პროგრამაზე განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი ზემოთ მითითებული

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“

მახასიათებლებია:

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიოლოგიის ბაკალავრი.
- პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი.
- სწავლების ენა - ქართული.
- პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი, თავისუფალი კომპონენტი და დამატებითი პროგრამა.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (N380994, 12/04/2022) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნათია ღაჭავა და ინგა დიასამიძე განახორციელა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიოლოგია“ არაგეგმიური მონიტორინგი პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს

განსახილველად გადაეცა ცენტრში (ცენტრში რეგისტრაციის №309706) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში თანდართლ დოკუმენტებთან ერთად (პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები).

პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართლი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. შეფასება განხორციელდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 და 1.2. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 2.1, 2.3, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4-სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტიები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

2.2. რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში მკაფიოდ ჩანდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, დაზუსტდეს თავისუფალი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა.

2.2. რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში გასწორდეს წინაპირობებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში მითითებულ წინაპირობებთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2. სასურველი იქნებოდა რუკაში ჩანდეს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (I- გაცნობა; P - გაღრმავება; M - განმტკიცება).

4.3. სასურველია აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების განახლება პროფესიული განვითარებისთვის ჩატარებული ღონისძიებების ასახვით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები

შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სახელწოდებამ და მისანიჭებელმა კვალიფიკაციამ „ბიოლოგიის ბაკალავრი“ ცვლილება არ განიცადა, შეიცვალა მხოლოდ კვალიფიკაციის კოდი და 69/ნ ბრძანების მიხედვით პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა დეტალურ სფეროში „0511 ბიოლოგია“. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ დასახელება შეესაბამება პროგრამის მიზანს „ მოამზადოს საერთაშორისო, ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით და მაღალი სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ბიოლოგიის ფუნდამენტალური კონცეფციებისა და თეორიების შესახებ, ცოცხალ ორგანიზმთა აგებულების და ფუნქციების, მათი ზრდის, გავრცელების, წარმოშობისა და განვითარების თავისებურებების შესახებ; გამოუმუშაოს საველე და ლაბორატორიულ პირობებში მუშაობისთვის აუცილებელი კვლევითი, ეთიკური და პრაქტიკული უნარ - ჩვევები; განუვითაროს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების და გაწეული საქმიანობის თაობაზე კომუნიკაციის უნარი“. პროგრამის მიზანი ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთარებულს მომაზადებს „ბიოლოგიის ბაკალავრის“ კვალიფიკაციით. „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამის მიზანი არ შეცვლილა. პროგრამის მიზანი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3 -ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0511 ბიოლოგია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმი; • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ფლობს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0511 ბიოლოგია). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ბიოლოგიის ბაკალავრი“ როგორც შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები არ შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მათი ფორმულირება, კერძოდ, შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ განახლებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და მოხდა ცოდნა და გაცნობიერების, უნარის და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით მოდიფიცირება. შესაბამისობაში მოვიდა კომპეტენციების მე-6 დონის აღმწერთან. პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების საფუძველზე, ხოლო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან. შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშს თან ახლავს დანართები 1.1 და 1.2. დანართში 1.1. - წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია კავშირი სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. სასურველი იქნებოდა რუკაში ჩანდეს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ: I- გაცნობა; P - გაღრმავება; M - განმტკიცება. შესაბამისად შესაძლებელი იქნებოდა გვენახა სასწავლო გეგმის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების როლი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში. დანართში 1.2. - განსაზღვრულია თითოეულ პროგრამის სწავლის შედეგთან მიმართებაში შემფასებლები. სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელიც შეფასების განხორციელების საფუძველზე ამზადებს შესაბამის ანგარიშს.

თვითშეფასების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროგრამის შედეგის „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ მიღწევის კომპონენტის შესახებ, კერძოდ, ეს კომპეტენცია მიიღწევა პროგრამის შემდეგი კომპონენტების მეშვეობით: საველე პრაქტიკა და ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია. ანგარიშში მითითებული თითოეული კომპონენტის განხორციელების ადგილი და სწვალება-სწავლის მეთოდები იძლევა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში განსაზღვრული შედეგების მიღწევის საშუალებას, რაც ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით და ანგარიშში, ასევე კომპონენტების სილაბუსებით განსაზღვრული შემფასებლის/განმახორციელებელის მიერ. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმი • შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში, დანართები 1.1 და 1.2
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია რუკაში ჩანდეს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (I- გაცნობა; P - გაღრმავება; M - განმტკიცება).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურიკულუმის თანახმად ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე პირს. ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეცვლილა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი ☐ შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამიოსბაში მოყვანისას ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები, რაც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. თვითშეფასების ანგარიშში კრედიტების განაწილება მოცემულია შემდეგი სახით: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებული სასწავლო კურსები - 165 კრედიტი (მათ შორის 5 კრედიტი პრაქტიკა). ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი - 5 კრედიტი დამატებითი (Minor) პროგრამა - 60 კრედიტი კურიკულუმს დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, რომელშიც მოცემულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი, მათი განხორციელების სემესტრები და წინაპირობები, მითითებულია კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. სასურველია სასწავლო გეგმაში მკაფიოდ ჩანდეს, მითითებული იყოს ანგარიშში მოცემული ფორმულირებების გამოყენებით, რომელია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, დაზუსტდეს თავისუფალი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსები „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია/ტოლერნატობა და მრავალფეროვნება“, „ფილოსოფიის შესავალი“ ძირითად სწავლის სფეროს. სასწავლო გეგმაში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი წინაპირობებთან მიმართებაში, კერძოდ, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სილაბუსებში მითითებულ წინაპირობებთან შემდეგ სასწავლო კურსებში: „ჰისტოლოგია“, „ბიოქიმია“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“, „ადამიანის ანატომია“, „მოლეკულური ბიოლოგია“, „ზოგადი გენეტიკა“ და ა.შ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ სტრუქტურა შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები □ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სასწავლო გეგმა □ შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში მკაფიოდ ჩანდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, დაზუსტდეს თავისუფალი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა • რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში გასწორდეს წინაპირობებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში მითითებულ წინაპირობებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანისას პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებში მოხდა სწავლის შედეგების გადახედვა სამი კომპეტენციის „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ მიხედვით და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ კომპეტენციების მე-6 დონის აღმწერს. 69/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის საფუძველზე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს ბაკალავრის მომზადებას ბიოლოგიის სფეროს ფართო ცოდნითა და დარგობრივი კომპეტენციებით. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსები ერთმანეთთან კანონზომიერ კავშირშია. განაპირობებენ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას. ანგარიშში მოცემულია სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა (დანართი 1.1.). სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით. სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, სასწავლო კურსის პარამეტრები (სწავლის საფეხური, სწავლების წელი და სემესტრი, მოცულობა, საათების რაოდენობა, სტატუსი), სტუდენტის სასწავლო დატვირთვა, პასუხისმგებელი ლექტორი, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის

შინაარსი, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის (კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები) გათვალისწინებით განსაზღვრულია მოცულობა კრედიტებში და შესაბამისი საათების რაოდენობა. სილაბუსებში დაკონკრეტებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროები, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემული სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად სილაბუსის თემატიკის ადექვატურია და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • შესაბამისობის ანგარიში, დანართი 1.1.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას ემსახურება ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საველე პრაქტიკა და მთელ რიგ სასწავლო კურსებში საკურსო ნაშრომის მომზადება/დაცვა. სტუდენტი საველე პრაქტიკას გადის სწავლების მეექვსე სემესტრში და მისი მოცულობაა 5 კრედიტი. კომპონენტის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ველზე მუშაობის მეთოდები, სარკვევი მასალის მოძიების, შეგროვების და პირველადი დამუშავების ტექნოლოგიები, ეტიკეტირება, სარკვევების გამოყენებით იდენტიფიცირება, გააცნოს საველე პირობებისათვის საჭირო აღჭურვილობა ველზე მუშაობის პირობებში; განუმტკიცოს თეორიული კურსებიდან მიღებული ცოდნა მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნების, მათი მორფოლოგიური აგებულების და გარემოსთან ადაპტაციის თავისებურებებზე; ეკოსისტემების და ბიოცენოზების სახეობრივ შემადგენლობაზე. გამოუმუშაოს მას მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები. საველე პრაქტიკის სილაბუსში გაწერილია განსახორციელებელი სამუშაოები. საველე პრაქტიკა სრულდება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებითა და დაცვით, რომლის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებით „აკადემიური წერა“, „ბიოგეოგრაფია“, „ბიოევოლუცია“, „ხერხემლიანთა ზოოლოგია“, „მცენარეთა სისტემატიკა“, „ზოგადი გენეტიკა“, „ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია:, „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგია“, „ფილოსოფიის შესავალი“ გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ საკურსო პროექტის შესრულება და დაცვა (პრეზენტაცია), რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. საკურსო პროექტის შეფასება ხდება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ (ბოლო კვირაში). სილაბუსში გაწერილია საკურსო პროექტის შეფასების კრიტერიუმები. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, გაიზარდა ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა, კერძოდ, სასწავლო კურსებში „მცენარეთა ფიზიოლოგია“, „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“, „ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია“ დაემატა ლაბორატორიული მეცადინეობები, სტუდენტებში შესაბამისი პრაქტიკული უნარების კიდევ უფრო განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ - სასწავლო კურსების სილაბუსები

▯ საველე პრაქტიკის სილაბუსი. ▯ მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები/აქტივობები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებითაა განსაზღვრული და ასახულია შესაბამის სილაბუსებში. სწავლება-სწავლის მეთოდები მჭიდრო კავშირშია შეფასების სისტემასთან, რომელიც
განსაზღვრულია სწავლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით შეიძლება გაიზომოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებად დასახელებულია: სალექციო, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მუშაობის, ლაბორატორიული მუშაობის, დემონსტრირების, წიგნზე მუშაობის მეთოდი, სავარჯიშო მეთოდი, დისკუსია/დებატი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. პროგრამის თითეულის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარს და უზრუნველყობს სწავლის შედეგების მიღწევას. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანისას სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ცვლილებები არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები □ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმი □ სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტებში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც განაწილებულია შუალედურ შეფასებასა და დასკვნით გამოცდაზე. სასწავლო კურსების სპეციფიკურობის გათვალისწინებით განსხვავებულია შუალედური გამოცდებისთვის, აქტივობისა და დასკვნითი გამოცდისთვის განკუთვნილი ქულების რაოდენობა. შუალედური შეფასება აერთიანებს სტუდენტის მიერ I და II შუალედურ გამოცდებზე მიღებულ და აქტივობის სხვადასხვა დავალებების შესრულებით დაგროვილ ქულებს. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა. ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა .ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა .გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა. დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა. ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ. ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ. ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში
მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება წერითი და/ან ზეპირი ფორმით. გამოცდის დავალება შესაძლოა იყოს ტესტური ფორმის (ღია და დახურული ტიპის), თეორიული საკითხი და სხვა. სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვას. პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისობის ანგარიშით (დანართი 1.2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი - სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური აფილირებული პერსონალი - 10 და მოწვეული პერსონალი - 7. სულ 17. აკადემიური პერსონალიდან 3 აფილირებული პროფესორია და 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი.

კვალიფიკაციის მიხედვით პროგრამას ანხორციელებს 4 ბიოლოგიის, 2 მედიცინის, 2 ქიმიის, 2

პედაგოგიკის, 2 ისტორიის, 1 ფილოლოგიის, 1 ფილოსოფიის, 1 ტექნიკის, 1 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და 1 საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება უსდ-ს მიერ

მოწოდებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით და პირადი მონაცემებით.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც მოწვეულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, და თანახელმძღვანელი, რომელიც უნივერსიტეტში იკავებს პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მათი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. აღნიშნული აღწერილია პროგრამის ხელმძღვანელების CV-ებში.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის მოყვანის პროცესს განმახორციელებელი პერსონალის ცვლილება არ მოჰყოლია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები)
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
- შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ასევე აღნიშნულია, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, მათთვის, უნივერსიტეტის რესურსებით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნათა თავისებურებებთან, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვასთან, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვასთან, პლაგიატის თავიდან აცილებასთან, პროგრამისა და მისი კომპონენტების სწავლის შედეგების ფორმირებასთან, კომპეტენციებთან, სწავლება/სწავლის მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან (შეფასების ფორმები და კრიტერიუმები) და.ა.შ. ანგარიშს თან ახლავს პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები), რომელშიც არ ფიქსირდება 2020 და 2021 წლების მონაცემები მათ მიერ განხორციელებული აქტივობების. სასურველი იქნებოდა განახლებული პირადი მონაცემები, რომელიც დაადასტურებდა ანგარიშში პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისთვის აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები)

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების განახლება პროფესიული განვითარებისთვის ჩატარებული ღონისძიებების ასახვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესმა არ გამოიწვია მატერიალური რესურსის ცვლილების/განახლების/დამატების აუცილებლობა. როგორც კურიკულუმშია აღნიშნული სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების მისაღწევად, სტუდენტებისათვის, შეზღუდვების გარეშე, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, გარდა საუნივერსიტეტო რესურსებისა, უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და მემორანდუმებით. 2019 წლის 17 დეკემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტი შეფასდა სტანდარტთან მიმართებაში „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმი • მემორანდუმები • შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში • აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №246, 17.12.2019
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს წარმოდგენილი არ ჰქონდა პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტი, თუმცა ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ბიუჯეტი ბოლო 5 წლის განმავლობაში. უსდ-ს ბიუჯეტით საჭიროებისათვის რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის
შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, სტუდენტური აქტივობის წახალიზებაზე, უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციაზე, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების დაბეჭდვაზე, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვაზე და სხვა. 2019 წლის 17 დეკემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტი შეფასდა სტანდარტთან მიმართებაში „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმი • უსდ-ს ვებ-გვერდი https://www.gu.edu.ge/ge/iuridiuli-nobari/biudjeti • აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №246, 17.12.2019
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 17

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</u> ნათია ღაჭავა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი</u>
ინგა დიასამიძე